პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

ოთხშაბათი, 23 ივნისი, 1943 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო — № 15 (291). ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი

## (სამამულო ომის მეორე წლისთავისათვის)

ორი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ჰიტლერული გერმანია უნამუსოდ და ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხალხები დაძაბულ ბრძოლას ეწევიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა და მისმა წითელმა არმიამ გაუძლეს სასტიკ გამოცდას ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უდიდესი გამძლეობა და სიმტკიცე, მამაცობა და თავდადება გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომელნიც იცავენ თავიანთი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

1941 წლის ზაფხულში ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყვანა მთელი თავისი არმია, რომელიც იმ დროისათვის უკვე სავსებით მობილიზებული იყო და შეიარაღებული იყო ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით. საბჭოთა კავშირს ომის პირველ პერიოდში არ შეეძლო სავსებით გამოეყენებინა მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მთელი თავისი მძლავრი ძალები, ვინაიდან დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ დაერაზმა ეს ძალები და დაეძრა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამასთან ჩვენი მოკავშირეები ეს იყო მხოლოდ იწყებდნენ საჭურვლის მასობრივ წარმოებას და არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი და სწრაფი დახმარება აღმოეჩინათ საბჭოთა კავშირისათვის. პირველ საზაფხულო კამპანიაში წითელმა არმიამ სერიოზული წარუმატებლობანი განიცადა. მაგრამ მან გაუძლო მტრის მოძალებას, შეუპოვარ თავდაცვით ბრძოლებში მოჰქანცა და მოსპო მტრის დიდი ძალები. პირველი საზაფხულო კამპანიის დასასრულისათვის გერმანელთა შეტევითი ძლიერება მნიშვნელოვნად შერყეულ იქნა.

უკვე ომის პირველსავე თვეებში აშკარა გახდა, თუ რამდენ უსაფუძვლო იყო გერმანელთა ვარაუდები საბჭოთა არმიების ელვისებურ განადგურებაზე, საბჭოთა წყობილების არასიმტკიცესა და წითელი არმიის სისუსტეზე. ჩაიფუშა აგრეთვე ჰიტლერელთა ვარაუდები საბჭოთა კავშირის და წითელი არმიის ძალების გამოფიტვაზე. დრო გერმანიის წინააღმდეგ მუშაობდა. საბჭოთა კავშირის ძალები ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ომის მსვლელობაში. 1941-42 წლის ზამთრისათვის წითელმა არმიამ, რომელმაც დაამთავრა თავისი ძირითადი ძალების მობილიზაცია და შეიძინა თანამედროვე ომის წარმოების საჭირო გამოცდილება, თავის ხელში აიღო ინიციატივა და სასტიკი დამარცხებანი აგემა მტერს. წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ჯარები დონისროსტოვთან, ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან, ჩაფუშა მტრის გეგმა ჩვენი დედაქალაქის გარშემორტყმისა და აღებისა. წითელი არმიის მიერ მოსკოვის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება გახდა ომის პირველი წლის გადამწყვეტი სამხედრო მოვლენა და მასთან გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. გერმანელთა ამ დამარცხებამ სამუდამოდ გააქარწყლა ჰიტლერელების მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ და ცხადჰყო, რომ წითელი არმია წარმოადგენს მძლავრ სამხედრო ძალას, რომელსაც შესწევს უნარი არა მარტო გაუძლოს გერმანელ ფაშისტთა ჯარების მოძალებას, არამედ კიდევაც დაამარცხოს ისინი პირისპირ ბრძოლაში. 1941-1942 წლის ზამთარში წითელმა არმიამ უკუაქცია გერმანელები დასავლეთისაკენ ზოგან ოთხასზე მეტი კილომეტრით.

1942 წლის ზაფხულისათვის გერმანელებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, მთელი თავიანთი რეზერვები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოიყვანეს და შექმნეს ძალთა დიდი სიჭარბე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ზაფხულის ბრძოლების მსვლელობაში გერმანელებმა მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ წითელი არმია მტრის ჯარების შემოტევას შეხვდა შეუპოვარი წინააღმდეგობით და არ განახორციელებინა მათ თავიანთი გეგმები, შეაჩერა რა მტერი სტალინგრადის მისადგომებზე და კავკასიის მთის ძირებში.

1942-1943 წლის ზამთარში წითელმა არმიამ გააქარწყლა გერმანელთა ზაფხულის ტაქტიკური წარმატებანი. 1942-1943 წლის ზამთრის კამპანია მობრუნების პუნქტი გახდა ომის მთელ მსვლელობაში. მან თვალსაჩინოდ ცხადჰყო ძალთა თანაფარდობის შეცვლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გერმანელებმა, მიუხედავად ჰიტლერის უსასტიკესი ბრძანებისა—რადაც უნდა დამჯდარიყო, შეენარჩუნებინათ დაპყრობილი პოზიციები, ვერ შესძლეს თავიდან აეცილებინათ წითელი არმიის ზამთრის შეტევა. წითელმა არმიამ უკუაგდო და დაამარცხა მტრის ჯარები, მოსპო ორი რჩეული ფაშისტური არმია სტალინგრადთან, დაამარცხა და დაატყვევა რუმინელთა, იტალიელთა, უნგრელთა არმიები და მძლავრი დარტყმით უკუაგდო გერმანელები ვოლგიდან და თერგიდან 600-700 კილომეტრით დასავლეთისაკენ. გზა, რომელიც გერმანელებმა გამოიარეს 1942 წლის ზაფხულში აღმოსავლეთისაკენ და რომლითაც ჩვენი ჯარები მიერეკებოდნენ მათ დასავლეთისაკენ, მოფენილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ასეულათასობით გვამებით, ათასობით დამტვრეული ტანკებით, თვითმფრინავებითა და ქვემეხებით.

მაშასადამე, ომის მეორე წელმა ჰიტლერელებს მოუტანა ახალი უდიდესი ზარალი და არ არგუნა არავითარი მოგება ტერიტორიის მხრივ.

უფრო მეტიც. ამ წლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის ბლოკადა ლენინგრადთან და განდევნეს მტერი სამხედრო მხრივ მნიშვნელოვანი რაიონებიდან — კურსკიდან, რჟევიდან, ვიაზმიდან, გჟატსკიდან, ველიკიე ლუკიდან, დემიანსკიდან.

ზამთრის კამპანიის მსვლელობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებს სერიოზული დამარცხებანი ვაგემეთ. ბრძოლის ველებზე წითელი არმიის დარტყმების გამო აჭრიალდა და შეირყა ჰიტლერული სამხედრო მანქანა. მტერმა სასოწარკვეთილი ღონისძიებანი იხმარა, რათა თავიდან აეცილებინა თავისი არმიის კატასტროფა. ჰიტლერელებმა ოცდაათზე მეტი დივიზია გადმოიყვანეს დასავლეთ ევროპიდან ხარკოვის რაიონში თავიანთი დამარცხებული ჯარების დასახმარებლად. ჰიტლერელები ვარაუდობდნენ ახალი დივიზიების ძალებით გარს შემორტყმოდნენ და მოესპოთ ჩვენი ნაწილები ხარკოვთან და ამით თავის სასარგებლოდ შეეტრიალებინათ საომარი მოქმედების მსვლელობა. მაგრამ, როგორც ცნობილია, გერმანელთა ეს ვარაუდები ჩაიშალა. გერმანელთა ცდები—აეღოთ რევანში სტალინგრადისათვის, ჩაშლილ იქნა ჩვენი ჯარების საბრძოლო მოქმედებით.

განიცადეს რა მთელი რიგი დამარცხებანი წარსულ ზამთარში, გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა 1943 წლის გაზაფხულზე, 1942 წლის გაზაფხულისაგან განსხვავებით, ვერ შესძლეს გაეშალათ შეტევითი ოპერაციები წითელი არმიის წინააღმდეგ.

ომის ორი წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. თუ რამდენად სერიოზულია გერმანელთა ზარალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის ზარალთან შედარებით, ეს სჩანს შემდეგი ფაქტიური მონაცემებიდან:

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ომის ორი წლის განმავლობაში მოკლულთა და ტყვეთა სახით დაჰკარგეს 6.400.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჰკარგეს ყველა ყალიბის 56.500 ქვემეხი, 42.400 ტანკი, 43.000 თვითმფრინავი.

ამავე ხნის განმავლობაში სსრ კავშირის ზარალი მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით შეადგენს 4.200.000 კაცს, ყველა ყალიბის 35.000 ქვემეხს, 30.000 ტანკს, 23.000 თვითმფრინავს.

გერმანიის ჯარებს ძლიერი დარტყმები აგემეს მამაცმა საბჭოთა პარტიზანებმა, გმირმა სახალხო შურისმგებლებმა. სამამულო ომის განმავლობაში მტრის მიერ ოკუპირებულ მთელ ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა გაჟლიტეს 300.000-ზე მეტი ჰიტლერელი არამზადა, მოაწყეს სულ ცოტა 3.000 მატარებლის მარცხი, ააფეთქეს და დასწვეს 895 საწყობი საჭურვლიანად და საომარ მასალიანად, დაანგრიეს 3.263 რკინიგზისა და გზატკეცილის ხიდი, მოსპეს მრავალი ასეული ტანკი, ჯავშანმანქანა, თვითმფრინავი, ქვემეხი, ავტომანქანა. თავიანთი მამაცური ბრძოლით საბჭოთა პარტიზანები ხელს უწყობდნენ ჩვენი ჯარების წარმატებებს.

ომის მსვლელობაში გერმანელებმა დაჰკარგეს უმეტესი ნაწილი თავიანთი კადრის დივიზიებისა და მეთაურ-ოფიცერთა ნაცადი შემადგენლობისა, აგრეთვე სამხედრო ტექნიკისა, რომელსაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ და აგროვებდნენ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. გერმანელთა ჯარების ამ ზარალმა საფუძვლიანად შეასუსტა ჰიტლერელთა სამხედრო მანქანა და ჰიტლერული სახელმწიფო.

**ამრიგად, ორი წლის ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სავსებით ჩაიშალა გერმანელი იმპერიალისტების ავანტიურისტული გეგმები, რომლებიც ნავარაუდევი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა დასამონებლად.**

ომის მსვლელობაში სერიოზულად გაუარესდა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა.

გერმანიის შეიარაღებულ ძალთა სერიოზული დასუსტება სჩანს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან, რომ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გერმანელთა არმიამ ვერ მიაღწია რაიმე სამხედრო წარმატებას, არამედ, პირიქით, განიცადა დიდი სამხედრო მარცხები, ზედიზედ განიცდიდა დამარცხებას როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ისე ეგვიპტეში, ლიბიაში, ტრიპოლიტანიასა და ტუნისში. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ახლა იძულებული არიან საჯაროდ უარჰყონ თავიანთი საკუთარი დოგმა ელვისებური ომის შესახებ, აღიარონ თავიანთი ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების სრული უსაფუძვლობა და აშკარად განაცხადონ, რომ ომმა გაჭიანურებული, ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, ამასთან ილაყბონ, თითქოს გამარჯვებას ისინი „პოზიციურ ომში“ მოიპოვებენ. გერმანელები იძულებული გახდნენ სამხედრო სამსახურში გაეწვიათ გერმანიის მამრობითი მოსახლეობის ნაშთები, მათ შორის სამხედრო საქმეში გაუწრთვნელი მოხუცნი და მოზარდნი, ისინი ძალით ერეკებიან თავიანთ არმიაში ოკუპირებული ქვეყნების მამრობითს მოსახლეობას: პოლონელებს, ფრანგებს, ბელგიელებს, დანიელებს, სლოვაკებს, ჩეხებს და სხვ. ომის ორი წლის შემდეგ გერმანიის არმიაში აღმოჩნდა საფუძვლიანად შერყეული საბრძოლო სულისკვეთება ჯარებისა, ხოლო გამარჯვების იმედები კი ახლა თვით პირწავარდნილ ჰიტლერელ ვაიმეომრებსაც ეკარგებათ.

**ამრიგად, ომის ორი წლის შედეგად, საფუძვლიანად შერყეულია ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერება, ხოლო გერმანელ ფაშისტთა არმია სერიოზულ კრიზისს განიცდის.**

ომის ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა ფაშისტური გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად დასუსტდა და წელში გაწყვეტილი აღმოჩნდა ჰიტლერული ზურგი. ეს იქიდან სჩანს, რომ გერმანიის მოსახლეობაში მატულობს რწმენის უქონლობა და პანიკური განწყობილება, გერმანელებს აღარა სჯერათ ჰიტლერელთა ზღაპრები გერმანიის ჯარების გამარჯვებებზე აღმოსავლეთში. ფაშისტური პრესა და რადიო სულ უფრო და უფრო ხშირად ემუქრებიან ანგარიშის გასწორებით იმ გერმანელებს, რომელნიც პანიკასა და ეჭვის სულისკვეთებას შეუპყრია. გერმანია ადამიანთა რესურსების უმწვავეს ნაკლებობას განიცდის. ჰიტლერელები ნადირობენ მონებზე მათ მიერ ოკუპირებულ ევროპის ყველა ქვეყანაში, ისინი გერმანიაში მიერეკებიან მილიონობით უცხოელ მუშებს და ამით ცდილობენ შეავსონ გერმანიის მამრობითი მოსახლეობის კატასტროფული დანაკლისი. გერმანიის მრეწველობა ვერ ასწრებს შეავსოს სამხედრო ტექნიკის ის უდიდესი ზარალი, რომელიც გერმანიის არმიას ფრონტებზე მოსდის. ეცემა სამხედრო მრეწველობის საწარმოო ძლიერება, რასაც ცოტათი როდი უწყობს ხელს მოკავშირეთა ავიაციის დარტყმები გერმანიის სამრეწველო ცენტრებზე. ამასთან ერთად სწრაფად ირყევა და სულ უფრო და უფრო საშიში ხდება გერმანელთათვის ჰიტლერული გერმანიის ევროპული ზურგი. გერმანიის არმიის მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში—იუგოსლავიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში ხალხის მასები ირაზმებიან საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ახლოა ის ჟამი, როცა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა არმიების საომარი მოქმედება შეუერთდება ჰიტლერის მიერ დამონებულ ევროპის ხალხთა შეიარაღებულ ბრძოლას გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

**ამრიგად, ომის შედეგად ფაშისტური გერმანიის ზურგი საფუძვლიანად შერყეულია, გერმანიის სამხედრო ეკონომიკა სერიოზულად დასუსტებულია, ხოლო გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში გაჩაღებულია საყოველთაო სახალხო ბრძოლა ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ.**

სერიოზულად გაუარესდა აგრეთვე იტალია-გერმანიის ბლოკის საერთაშორისო მდგომარეობა. ეს იქიდან სჩანს, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ არა თუ ვერ მოახერხა ახალი მოკავშირენი მიემხრო, არამედ მას არ შეუძლია დარწმუნებული იყოს თავის ახლანდელ მოკავშირეებშიც. სამხედრო დამარცხებათა შედეგად შეირყა ჰიტლერული გერმანიის ავტორიტეტი მის მოკავშირეთა შორის. სულ უფრო და უფრო მატულობს გერმანიის იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე. ჰიტლერულმა გერმანიამ სავსებით გამოააშკარავა თავისი თავი მთელი მსოფლიოს თვალში, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა და გამოიწვია თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხთა საყოველთაო ზიზღი ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ.

გერმანელმა ფაშისტმა იმპერიალისტებმა, დაჰკარგეს რა მათ მიერ წამოწყებული ომის სწრაფი და ხელსაყრელი დამთავრების რწმენა, სცადეს გაეთიშათ თავისუფლებისმოყვარე ერების ფრონტი ლაყბობით ზავის შესახებ. როგორც ცნობილია, გერმანელთა ეს ვერაგული გეგმა სამარცხვინოდ ჩაიფუშა, იგი დაიმსხვრა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა კავშირის სიმტკიცესა და ურღვევობაზე.

**ამრიგად, ომის განმავლობაში იმატა ფაშისტური გერმანიის იზოლაციამ საერთაშორისო ასპარეზზე, გაკოტრდა გერმანელების ვარაუდები ანტიჰიტლერული კოალიციის შიგნით განხეთქილებაზე, ხოლო ფაშისტური სახელმწიფოების კავშირი დაშლის პირას დგას.**

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარება არახელსაყრელი გახდა ჰიტლერული გერმანიისათვის, რომ მტრის ბანაკში ღრმა კრიზისია.

მაშინ როცა ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, საბჭოთა კავშირის სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

სამამულო ომის მსვლელობაში გაიზარდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება. წითელი არმია მტრისათვის მრისხანე ძალად იქცა. იგი გამოიწრთო ბრძოლებში, დიდი სამხედრო გამოცდილება შეიძინა, რეორგანიზაცია უყო და გარდაქმნა თავისი რიგები ომის ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოთა მეთაურები გახდნენ ახალი, მოქნილი ტაქტიკის—მანევრირების ტაქტიკის ოსტატები. მთელმა რიგმა უდიდესმა ბრძოლებმა, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს, დაგვანახვეს წითელი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უპირატესობა გერმანელთა ნაქები სტრატეგიისა და ტაქტიკის წინაშე. წითელ არმიას ახლა აქვს სავსებით თანამედროვე, ძლიერი სამხედრო ტექნიკა. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ჯარების საბრძოლო და მორალური სულისკვეთება. მტერზე გამარჯვებებით ფრთაშესხმული წითელი არმია აღგზნებულია სურვილით საბოლოოდ გაანადგუროს ფაშისტი მხეცი.

ამავე დროს მოხდა წითელი არმიის ზურგის შემდგომი განმტკიცება. საბჭოთა ფაბრიკები და ქარხნები სრული სიმძლავრით მუშაობენ და აძლევენ ჩვენს არმიას ყველაფერს, რაც მას ესაჭიროება. ომის განმავლობაში მშრომელებმა უმაგალითო მოკლე ვადაში გარდაჰქმნეს მეურნეობა საომარ ყაიდაზე, მრეწველობის ბაზები საშიში რაიონებიდან გადაიტანეს აღმოსავლეთში, ააგეს ასობით ახალი სამრეწველო საწარმოები, გაადიდეს ყველა სახის საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოება. კოლმეურნე გლეხობამ გაადიდა ნათესის ფართობები, იგი თავგანწირულად იბრძვის მაღალი მოსავლისათვის, სურსათით ამარაგებს არმიას და ჩვენს ქვეყანას. ამჟამად საბჭოთა ხალხის ერთიანობა ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს არ ყოფილა. მეორე სამხედრო სესხი, რომელიც ერთი დღე-ღამის განმავლობაში გადაჭარბებით იქნა შესრულებული და რომელმაც 20 მილიარდ მანეთზე მეტი მისცა ბიუჯეტს, გახდა ბრწყინვალე დემონსტრაცია ჩვენი ხალხის უდიდესი პატრიოტული აღმავლობისა საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს ურყევად გადაწყვეტილი აქვთ აწარმოონ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ სრულ გამარჯვებამდე. მთელ წარსულ ისტორიაში ხალხთა მასებს ჯერ არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა ასეთი თავდადებით თავისი სამშობლოს დაცვაში, როგორც დიდი სამამულო ომის დღეებში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ **წითელი არმია გაძლიერდა, ხოლო საბჭოთა ზურგი მტკიცე და ურყევია.**

ომის განმავლობაში განმტკიცდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. ომის მსვლელობაში ჩამოყალიბდა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების — სსრ კავშირის, ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია. ჩაიშალა ჰიტლერელთა ვარაუდი იმაზე, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის შიგნით განხეთქილება მოხდებოდა. ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისსა და სსრ კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ომის პირობებში ეს ვადა საკმარისია ხელშეკრულებათა სიმტკიცის შესამოწმებლად. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ამ ხნის განმავლობაში ინგლისთან ჩვენი მოკავშირეობის დამოკიდებულება გაუმჯობესდა. სავსებით დაგვანახვა თავისი ცხოველუნარიანი ძალა აგრეთვე 1942 წლის ივნისში სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებულმა შეთანხმებამ იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებისას ურთიერთდახმარების გასაწევად. საბჭოთა კავშირმა, რომელიც თავისაკენ იზიდავს ჰიტლერული გერმანიის მთავარ ძალებს და აღმოსავლეთში ჰბოჭავს გერმანიის 200 დივიზიას და მისი მოკავშირეების 30 დივიზიას, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია თავის მოკავშირეებს, მისცა მათ შესაძლებლობა გაეჩაღებინათ საჭურვლის წარმოება, გაეწვიათ ჯარში მილიონობით ადამიანები და შეექმნათ ძლიერი არმიები. თავის მხრივ ჩვენი მოკავშირეები სულ უფრო და უფრო მზარდ დახმარებას უწევენ საბჭოთა ხალხს საჭურვლითა და მასალებით. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ანტიჰიტლერულ სახელმწიფოთა კავშირი გაძლიერდა ერთობლივი ერთდროული საბრძოლო მოქმედებით იტალიელ-გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. წითელი არმიის მძლავრი დარტყმები გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ აღმოსავლეთიდან შეუერთდნენ ჩვენი მოკავშირეების დარტყმებს იტალია-გერმანიის არმიების გასანადგურებლად ჩრდილოეთ აფრიკაში. ამავე დროს მოკავშირეთა ავიაცია სულ უფრო და უფრო საგრძნობ დარტყმებს აგემებს გერმანიასა და იტალიას.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ **ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა ახლა მტკიცეა ისე, როგორც არასოდეს, და ომის მსვლელობაში კიდევ უფრო გაძლიერდა სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო კავშირი.**

ამრიგად, სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში მოხდა ძირფესვიანი ცვლილებანი თანამედროვე სამხედრო-პოლიტიკურ და საერთაშორისო ვითარებაში. ომის განმავლობაში ძირი გამოეთხარა ჰიტლერული გერმანიის წინანდელ სამხედრო ძლიერებას, მკვეთრად გაუარესდა სამხედრო და პოლიტიკური პერსპექტივები გერმანელ ფაშისტთა არმიისათვის. ამასთანავე, მოხდა საბჭოთა კავშირის და მისდამი მეგობრული მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური პოზიციების შემდგომი განმტკიცება, გაიზარდნენ და გაძლიერდნენ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა არმიები, განმტკიცდა მათი საბრძოლო სოლიდარობა.

მაგრამ საბჭოთა ხალხს და წითელ არმიას შემცირებულად არა აქვთ წარმოდგენილი მტრის ძალები და შემდგომი ბრძოლის სიძნელეები. ჯერ კიდევ მოგველის მძიმე ბრძოლები და დიდი განსაცდელი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის საჭირო იქნება მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა და რკინისებური სიმტკიცე მტერთან ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში, რა ხრიკებსაც უნდა მიმართოს მტერმა ყოველგვარი „ტოტალური მობილიზაციების“ სახით. ომის მსვლელობაში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი მოკავშირეების სასარგებლოდ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის გამარჯვებისათვის. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ჩვენი მოკავშირეები ხელსაყრელ ვითარებას ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის შესაქმნელად, ვინაიდან მეორე ფრონტის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე.

ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ გადაარჩინა ჰიტლერული გერმანია 1942 წელს დამარცხებას. როგორც ცნობილია, ჰიტლერელებმა ეს შესვენება გამოიყენეს ახალი ფართო შეტევისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასული წლის ზაფხულში და შემოდგომაზე. ევროპაში 1943 წელს მეორე ფრონტის გასახსნელად შექმნილი ხელსაყრელი პირობების ხელიდან გაშვება, ამ საქმეში დაგვიანება იმას ნიშნავს, რომ სერიოზული ზიანი მივაყენოთ ჩვენს საერთო საქმეს. ევროპაში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის გადადება გამოიწვევდა ომის გაჭიანურებას და, მაშასადამე — მსხვერპლის კოლოსალურ გადიდებას. და, პირიქით, მიმდინარე წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნა გამოიწვევდა ომის სწრაფად დამთავრებას,—მაშასადამე, ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე მსხვერპლის კოლოსალურ შემცირებას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1943 წ. 21-22 ივნისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

1. ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ევკალიპტის რემონტის, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
2. მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ორგანიზაციის შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენება.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ლ. ვ. ჩხიკვიშვილი** (ჩოხატაურის რაიონი), **გ. გ. თვალჭრელიძე** (აჭარის ასსრ), **გ. დ. ჩაჩიბაია** (ზუგდიდის რაიონი), **ვ. ვ. სიხარულიძე** (მახარაძის რაიონი), **ა. პ. ცომაია** (ტრესტი „საქჩაიგრზეთი“), **ნ. ვ. გაბუნია** (ფოთის რაიონი), **გ. ნ. კოკაია** (გუდაუთის რაიონი), **გ. ზ. ქარჩავა** (ცხაკაიას რაიონი), **შ. ი. ჭანუყვაძე** (ქობულეთის რაიონი), **ბ. ა. იაკობაშვილი** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ა. ი. მგელაძე** (აფხაზეთის ასსრ), **ტ. კ. კვარაცხელია** (აკადემიკოსი), **ა. ნ. რაფავა** (საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახ. კომისარი), **გ. ა. ალავიძე** (საქ. სსრ მიწსახკომი), **პ. კ. თოდუა** (გალის რაიონი).

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ს. გ. ხოშტარიამ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **შ. ტ. გელაშვილმა** (წითელწყაროს რაიონი), **მ. ვ. ალავერდაშვილმა** (სიღნაღის რაიონი) **ი. ა. ფეიქრიშვილმა** (გურჯაანის რაიონი), **ვ. ტ. ვართაზაროვმა** (ახალქალაქის რაიონი), **ი. პ. კუჯიაშვილმა** (ყარაიის რაიონი), **შ. ვ. კოჩლაძემ** (ბორჩალოს რაიონი), **ი. დ. კოჭლამაზაშვილმა** (საქ. სსრ სახკომსაბჭო), **ზ. ნ. კეცხოველმა** (სსრკ დამზადებათა სახ. კომ. რწმუნებული საქ. სსრ), **ს. მ. ჭელიძემ** (ც. კ. სასოფლო-სამეურნეო განყ.).

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები.

პლენუმმა ამხ. **კ. გ. ჭიჭინაძე** აირჩია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მეცხოველეობის დარგში.

# საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

## კამათი ამხ. ბ. ჟღენტისა და ამხ. ი. მოსაშვილის მოხსენებათა გარშემო

დისკუსია ამხ. ბ. ჟღენტისა და ამხ. ი. მოსაშვილის მოხსენებათა გარშემო ორი დღეს გაგრძელდა. გამოსული ამხანაგების დიდმა ნაწილმა კამათი მაღალ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა, გამოამჟღავნა რა იმ ამოცანების სრული შეგნება, რომლებიც მწერლებს სამამულო ომის მიმდინარე მომენტმა დაუსახა, მაგრამ მოკამათეთა ერთმა ნაწილმა თავისი გამოსვლა საკუთარი ნაწარმოების დაცვით შემოფარგლა და გვერდი აუარა თვითკრიტიკას, როგორც მწერლობის შემოქმედებითი ზრდის აუცილებელ პირობას. დისკუსიის ეს უარყოფითი მომენტი ხაზგასმით აღინიშნა როგორც მომხსენებლის — ამხ. ბ. ჟღენტის საბოლოო, ისე ამხ. ირ. აბაშიძის დასკვნით სიტყვაში.

დისკუსია დაიწყო შ. რადიანის გამოსვლით.

— თუ სამამულო ომის შემდეგ გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებებს გადავხედავთ,—ამბობს ამხ. შ. რადიანი,—ვერ ვიტყვით, რომ რიგი მწერლებისა ენერგიულად მუშაობდეს, რომ მათ შეექმნათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც უპასუხებდნენ სამამულო ომის ამოცანებს. ამ ორი წლის განმავლობაში დაწერილ ნაწარმოებთა საგრძნობი ნაწილი სუსტია მხატვრულად. გამომუშავდა ერთგვარი სტანდარტი. მოთხრობების მეტი ნაწილი ამ სტანდარტისა და ერთხელვე გამომუშავებული სქემის მიხედვით არის დაწერილი. მათში ვერა ვგრძნობთ, რომ მწერალს ნაწარმოები ცხოვრების, სინამდვილის ცოდნის საფუძველზე ჰქონდეს შექმნილი, რომ აღებული თემა ორგანიულად ჰქონდეს განცდილი და დამუშავებული. ამით აიხსნება, რომ სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ბევრი ნაწარმოები რაღაც ერთი წლის მანძილზე დავიწყებას მიეცა. ეხება რა მხატვრული კრიტიკის მდგომარეობას, ორატორი აღნიშნავს, რომ კრიტიკოსები ვერ მუშაობენ ისე ნაყოფიერად, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. აქამდე გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი განუხილავი და შეუფასებელია. ორატორი მოითხოვს სამხედრო პრესაში ქართველ მწერლის თანამშრომლობის გაძლიერებას, და იძლევა კონკრეტულ წინადადებას, ხანგრძლივი ვადით სამხედრო გაზეთების რედაქციებში მივლინებულ იქნან ყველა ჟანრის მწერლები და უფრო სისტემატურად ეწყობოდეს მწერალთა ბრიგადების გაგზავნა ფრონტზე და ფრონტისპირა ხაზზე.

ლეო ქიაჩელი აღნიშნავს, რომ ბ. ჟღენტის მოხსენებამდე ვფიქრობდი, ქართველ პროზაიკოსებს ბევრად უფრო ნაკლები ჰქონდათ ნამუშევარი, ვიდრე ნამდვილად აღმოჩნდა. თითქმის ყველა პროზაიკოსს თავისი წვლილი შეუტანია სამამულო ომის თემატიკაში, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ქართული მწერლობა გვერდში უდგას ფრონტის მებრძოლებს და მათთან ერთად კალმით იბრძვის ვერაგი მტრის გასანადგურებლად. ორატორი იქვე დასძენს, რომ ეს არ უნდა გვაძლევდეს საბაბს, არ დავინახოთ ჩვენი პროზის ნაკლი და სისუსტე. კ. ლორთქიფანიძისა და ი. მოსაშვილის, ს. თავაძის ახალი ნარკვევების სახით ჩვენ გვაქვს ნაწარმოებები, სადაც ვგრძნობთ სამამულო ომის ცოცხალ სინამდვილეს, მაგრამ საერთოდ დღემდე გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებში არა ჩანს სიმძაფრე, სიმახვილე, ის უშუალო განცდა, რაც ასე ახასიათებს რუს და უკრაინელ მწერლების შემოქმედებას სამამულო ომის პერიოდში.

ს. თავაძე მთელი რიგი მწერლების უმოქმედობას და შემოქმედებითს პასიობას ხსნის იმით, რომ ყოველდღიური პრესა, აგრეთვე ჩვენი პერიოდული გამოცემები მწერალს თავიანთ ფურცლებზე ვერ უთმობენ საკმაო ადგილს, (თავის დასკვნითს სიტყვაში ეს მოსაზრება მომხსენებელმა სამართლიანად გააბათილა იმ საბუთით, რომ არც ერთი მხატვრულად და იდეურად გამართლებული ნაწარმოები ამ ომის პერიოდში დაუბეჭდავი არ დარჩენილა). შემდეგ ორატორი თავის რომანს „მეგობრებს“ იცავს ისეთი შეფასებისაგან, როგორიც მას მისცა მომხსენებელმა.

დემნა შენგელაია ლაპარაკობს იმ დიდ შემოქმედებითს გადახალისებაზე, რომელსაც განიცდის მწერალი ფრონტზე, მებრძოლი ადამიანების გარემოცვაში. ძნელია ფრონტზე წერა ისე, თუ ფრონტი არ გინახავთ და ფრონტის განწყობილებას არ გასცნობიხართ. იცვლება ადამიანის სულიერი ვითარება ფრონტის მიხედვით. ბევრმა მწერალმა ეს არ იცის, ამიტომ მათ ნაწარმოებში არა ჩანს ცოცხალი ადამიანი და ცოცხალი სინამდვილე. უკანასკნელად ხშირად კონკრეტულ მებრძოლებზე სწერენ. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ შეიძლება მხატვრული პროზა მხოლოდ ამ ჟანრით შემოიფარგლოს. დასასრულ, ორატორი შენიშნავს, რომ სამამულო ომის მიერ წამოჭრილი მრავალი პრობლემა ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ სრულიად ხელშეუხებელია და ისინი მოელიან თავიანთ მხატვარს.

ვ. ლორია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მომხსენებლის მიმოხილვაში შევიდა აჭარელი მწერლების, კერძოდ, მისი ერთი მოთხრობა, მაგრამ არ იზიარებს მომხსენებლის დასკვნას მოთხრობა „დაბრუნებულზე“.

ა. ბელიაშვილი ანვითარებს იმ აზრს, თითქოს ომის დაძაბულ პირობებში შეუძლებელი იყოს რომანის დაწერა აქტუალურ თემაზე. ომის დროს ლექსი, სიმღერა, ნოველა, მხატვრული ნარკვევი უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა სწრაფად გამოვეხმაუროთ იმ მოვლენებს, რომლებიც ქვეყანას აღელვებენ, მომხსენებელმა ძალიან ბევრი ნაწარმოები ჩამოსთვალა, მაგრამ ფაქტიურად ძალიან მცირე რამ არის გაკეთებული, რადგან დღემდე გამოქვეყნებულ მოთხრობებსა და ნარკვევებში არ არის აძრული და გადაჭრილი ჩვენი დროის მწვავე და საინტერესო პრობლემები, საერთოდ ჩვენს პროზას ახასიათებს თემატიური ერთფეროვნება და უპრობლემობა მაშინ, როცა ცხოვრება ყოველ ფეხის გადადგმაზე აყენებს ახალ საინტერესო პრობლემებს. არ იქნება დანაშაული, თუ მწერალი, რომელიც ძირითადად აქტუალურ თემატიკაზე მუშაობს, ზოგიერთი თავისი ნაწარმოებით დააკმაყოფილებს მკითხველის ისეთ ჯანსაღ მოთხოვნილებას, რომელიც უშუალოდ სამამულო ომის პრობლემებთან არ არის დაკავშირებული.

ი. გაწერელია იცავს დებულებას, თითქოს ომის პერიოდში არ შეიძლებოდეს გრანდიოზული ტილოების შექმნა. დღეს ჩვენი ლიტერატურა ნოველების, ნარკვევების, კორესპონდენციების სახით ამზადებს ნიადაგს ისეთი დიდი მხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომელიც შეეფერება ამ დიდ სამამულო ომს. ორატორის აზრით, მთელი ქართული მწერლობის ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მან აღბეჭდოს სამამულო ომის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ამისთვის გამოყენებულ უნდა იქნას მხატვრული პროზის ისეთი ოპერატიული ფორმები, როგორიც არის ნოველა, მხატვრული ნარკვევი, ფელეტონი და სხვ. ეხება რა ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენებას, ორატორი შენიშნავს, რომ ამ მოხსენებაში გამოსჭვიოდა გადაჭარბებული ალტრუიზმი, საჭირო იყო უფრო მკაფრი კრიტიკა იმ სუსტი ნაწარმოებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ იბეჭდება სამწუხაროდ.

ა. ქეიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული პროზა ვერ ასახავს სამამულო ომის გრანდიოზულ მოვლენებს, განსაკუთრებით იმ ღრმა სულიერ ძვრას, რომელიც მოხდა საბჭოთა ადამიანში და რომელიც ესოდენ მიმზიდველი და წარმტაცი უნდა იყოს ყოველი მწერლისათვის, ჩვენ პროზაში აუსახავი დარჩა ის დიდი ერთსულოვნება, ის შედუღაბება, რომელიც ფრონტმა და ზურგმა გამოიჩინეს, ის საარაკო შეუპოვრობა და სიმამაცე, რომლითაც საბჭოთა მებრძოლმა დაიცვა ლენინგრადი, მოსკოვი, სტალინგრადი, ჩვენი მიწა-წყლის ყოველი მტკაველი. სამამულო ომმა მოგვცა უამრავი მასალა ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად. მომხსენებელი,—ამბობს ამხ. ქეიშვილი,— შეეხო ცალკეულ ნაწარმოებთა სიუჟეტურ აღნაგობას და აღნიშნა ზოგიერთი მათგანის ნაძალადეობა, ხელოვნურობა. სიუჟეტი, ნაწარმოები ხელოვნური გამოდის მაშინ, როცა მწერალი არ იცნობს იმ მასალას, რომელსაც იგი ამუშავებს. სინამდვილის ღრმა ცოდნა არის აუცილებელი პირობა, რომ ღირსეულად, მხატვრული სისრულით აისახოს საბჭოთა ხალხის საარაკო გმირობა გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ გამართულ გრანდიოზულ ბრძოლაში.

ს. ეული აღნიშნავს, რომ თუ ჩვენი პროზაიკოსები სამამულო ომის უკანასკნელ თვეებში საკმაოდ ნაყოფიერი არ იყვნენ, ეს იმასაც უნდა მიეწეროს, რომ ძალიან სუსტად მუშაობდნენ ლიტერატურული ორგანიზაციები, რომელნიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მწერლის შემოქმედებითს მუშაობას, მაგრამ რომლებიც ამ მოწოდებას ვერ უპასუხებდნენ. მაგალითად ზოგ ნაწარმოებზე არ იქნებოდა დღევანდელ პლენუმზე ლაპარაკი, რომ იგი გარჩეულიყო პროზაიკოსთა სექციაში. ბევრი მწერლისთვის წამახალისებელი და გამამხნევებელი იქნებოდა ისეთი შემოქმედებითი თვითანგარიშების გამართვა, როგორიც ამას წინათ მოსკოვში მოეწყო (ი. ერენბურგისა და ა. ტოლსტოის შემოქმედებითი თვითანგარიშის საღამოები). შემდეგ ორატორი ეხება მხატვრული კრიტიკის ჩამორჩენას და საჭიროდ სთვლის, რომ კრიტიკას ხელი მოჰკიდონ სხვა ჟანრებში მომუშავე მწერლებმაც, პოეტებმა და პროზაიკოსებმა. ჩამოსთვლის რა იმ რუს მწერლებს, რომლებიც ომის დაწყების დღიდან თანამშრომლობენ საფრონტო გაზეთებში, ს. ეული მოითხოვს, რომ პრეზიდიუმმა და სხვა ორგანოებმა შექმნან პირობები სამხედრო გაზეთებში ქართველი მწერლების ისეთი აქტიური და ოპერატიული მუშაობისათვის, როგორც ეს ახასიათებთ ჩვენ რუს და უკრაინელ ამხანაგებს.

ბ. ჩხეიძე შეჩერდა ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების მუშაობაზე სამამულო ომის პერიოდში. მან აღნიშნა, რომ ისინი დიდი გულისყურითა და მეტად ნაყოფიერად მუშაობდნენ, ორატორის აზრით ზოგმა მათგანმა მხატვრულ სისრულეს მიაღწია. თითქოს ჩვენი ჟურნალ-გაზეთების პორტფელებში არასოდეს იმდენი მასალა არ ყოფილა დაგროვილი, რამდენიც დაგროვდა ამ ორი წლის მანძილზე. შემდეგ იგი ეხება თავის შემოქმედებითს მუშაობას და ერთგვარ საყვედურს გამოსთქვამს იმის გამო, რომ იგი უგულებელყოფილია როგორც მომხსენებლის, ისე საერთოდ კრიტიკის მიერ, რომ ჩვენი მხატვრული კრიტიკა, კერძოდ, ბ. ჟღენტის განსაკუთრებული გულისყურით მუშაობს რამდენიმე რჩეული მწერლის შემოქმედებაზე და სდუმს იმ მწერლებზე, რომლებიც ამ რჩეულთა რიგებში არ მოხვდნენ.

ვ. დარასელი ვრცლად ლაპარაკობს მწერლის როლზე და მის მონაწილეობაზე წითელი არმიის მებრძოლთა იდეურ პოლიტიკური აღზრდის საქმეში. იგი ასახელებს მთელ რიგ ქართველ მწერლებს, რომელთა ნაწარმოებს ხალისითა და გატაცებით კითხულობს ქართველი მეომარი. ორატორი ამახვილებს ქართველი მწერლების ყურადღებას სამხედრო პრესაში მათი თანამშრომლობის, მათი სისტემატური მუშაობის საჭიროებაზე.

ლ. ავალიანის აზრით, კრიტიკა და მწერალთა საზოგადოებრიობა საკმაოდ ვერ აფასებს ახალგაზრდობას, არ ჰქმნის მისთვის შემოქმედებითი ზრდის პირობებს, თითქოს ახალგაზრდობას უთანასწორო ჭიდილი უხდებოდეს ძველი თაობის მწერლებთან, თითქოს კრიტიკას უფლება არა აქვს—მკაცრი საზომით მიუდგეს ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებას, აღნიშნოს ახალგაზრდა მწერლების ზოგიერთი ნაწარმოების სქემატიურობა, სიმშრალე, უსიცოცხლობა, თითქოს სქემატიურობა ნაწარმოებს ხელს არ უშლიდეს იყოს მაღალმხატვრული და დამაჯერებელი. ლ. ავალიანის პრეტენციოზულმა გამოსვლამ ვერ მოახდინა მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება.

გასცა რა პასუხი ოპონენტებს, მომხსენებელმა ამხ. ბ. ჟღენტმა თავისი საბოლოო სიტყვა შემდეგი წინადადებით დაამთავრა: „ქართული მწერლობა ყოველთვის ქართველი ხალხის იდეური მედროშე იყო. ასეთად უნდა დარჩეს იგი ახლაც—საბჭოთა ხალხის გრანდიოზული სამამულო ომის ისტორიულ მომენტში. მწერლობისათვის შექმნილია ყოვლგვარი პირობა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. საქმე მხოლოდ ჩვენზე არის დამოკიდებული და ჩვენი წმინდა მოვალეობაა—გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ გავამართლოთ ქართული მწერლობის ბრწყინვალე ტრადიცია და მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარული საბჭოთა მწერლობისადმი.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა ირ. აბაშიძემ. გაუკეთა რა მოკლე მიმოხილვა ორატორთა გამოსვლას, მან მოუწოდა მწერლებს—უფრო მეტი ყურადღებით მოუსმინონ კრიტიკას, მეტი ანგარიში გაუწიონ მას და თავათაც მეტი თვითკრიტიკით მოეკიდონ საკუთარ შემოქმედებას. ამხ. ი. აბაშიძემ მწერლების ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა სამამულო ომის და ამ ომში სახელმოხვეჭილ მამაც საბჭოთა ადამიანების მხატვრული ასახვის გადაუდებელ საჭიროებაზე, სამხედრო პრესაში ქართველი მწერლების სისტემატური თანამშრომლობის გაძლიერებაზე და თვით ჩვენი ლიტერატურული პრესის—„ლიტერატურული საქართველოს“ და „მნათობის“ მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზე.

# ერთი მუჭა მიწის ძალა

ლექსების ციკლიდან: „ბედნიერი სოფელი“

სანდრო ეული

[illegible]

# ასე ებრძოდნენ ძმად-შეფიცულნი

საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის ხსოვნას

ვერა შუბლაძე

[illegible]

# მხატვრული კითხვის საღამო თეატრალურ ინსტიტუტში

## დიმიტრი ჯანელიძე

თეატრალურ ინსტიტუტში 12 ივნისს გამართული მხატვრული კითხვის საღამო საინტერესო საზოგადოებრივ ანგარიშად გადაიქცა. ჩვენ გავეცანით თეატრალური ინსტიტუტის მიზანდასახულობას მხატვრული მეტყველების დარგში, გავეცანით ამ საგნისათვის მასალის შერჩევისა და სწავლების მეთოდს და პედაგოგიური მუშაობის შედეგიც მოვისმინეთ.

მეტყველი კითხვის კლასს დოც. მ. მრევლიშვილი ხელმძღვანელობს. ამ კლასის მუშაობის საჯარო განხილვამ გვიჩვენა კეთილნაყოფიერი სწრაფვა სადად და სურათოვნად, აზრიანად და მართლად მეტყველი ქართულის ათვისებისაკენ [illegible]. საღამოს პროგრამა ამჟღავნებს, რომ საკითხავი მასალის შერჩევა ამ კლასში დასახული მიზნის შესაბამისად ხდება (პროგრამაში იყო: ხალხური ეპოსიდან „აბესალომ და ეთერი“, შემდეგ— რუსთაველი, პუშკინი, შილერი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, გორკი, ჩეხოვი, კ. გამსახურდია ა. ბელიაშვილი და სხ.).

ახლად კურსდამთავრებული უკვე სადიპლომო სპექტაკლში ნახული სტუდენტების მ. ჩახავას, მ. გიჟიმყრელის, ნ. იასალაშვილის და ს. ყანჩელის კითხვა ყველაზე მეტად საინტერესო იყო, რამდენადაც მათ მეტყველებაში სრულად უნდა გამოჩენილიყო ოთხი წლის სწავლით მოპოებული ცოდნა და სწორად წარმართული ვარჯიშით შეძენილი ტექნიკა.

მედეია ჩახავამ წაიკითხა ნაწყვეტი „ვეფხის-ტყაოსნიდან“. ქართულ ენაზე „ვეფხის-ტყაოსანს“ ჯერ კიდევ არა ჰყავს უზადოდ წამკითხველი ოსტატი და დიდი გაბედვაა, რომ ახლად კურსდამთავრებული სტუდენტი ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას ჰკიდებდეს ხელს. მედეია ჩახავას კითხვა მაინც შეიძლება მივიღოთ როგორც საინტერესო ცდა. წამკითხველს მომხიბვლელი და მიმზიდველი ხმა აქვს, იგი ცოცხლად, სახიერად და ჩინებულად მეტყველებს. სიტყვას ზომიერებით მეტყველ ჟესტს და მიმიკას ახმარს. ზოგიერთი შტრიხი გონებამახვილად აქვს მიგნებული, მაგ., კავშირი „და“-ს წარმოთქმა ტაეპის მეოთხე სტრიქონის წინ. კითხვის დროს მედეია ჩახავა გამომდინარეობს პოემის ილიუსტრაციებისაგან, რაც, ჩვენის აზრით, ხელს უშლის რუსთაველის სადა და მონუმენტალური სტილის გადმოცემას.

მიხეილ გიჟიმყრელმა წაიკითხა გ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და ი. ჭავჭავაძის „პასუხი“. კომპოზიცია კარგად არის მოფიქრებული ოღონდ თუ პირველი ლექსის კითხვაში ზედმეტ თეატრალიზაციასთან გვაქვს საქმე, მეორე ლექსის კითხვაში ნაკლებად ჩანდა სახიერება.

ცოცხლად და სურათოვნად, სუფთა სასაუბრო ქართულით წაიკითხა ნათელა იასალაშვილმა აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა „წერილის და გვირგვინის“ ნაწყვეტი. წამკითხველმა ტექსტს შეუნარჩუნა იუმორი, ამასთან ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე გადასვლისას ტექსტს ჩინებული სიტყვაცვლილებით კითხულობდა. კუთხური კილოს ელფერს მხატვრული ტაქტითა და ზომიერებით იყენებდა და სრულებით არა სცოდავდა მართლად მეტყველ ქართულის წინაშე.

დიდი წარმატებით წაიკითხა სალომე ყანჩელმა ნაწყვეტი ხალხურ „აბესალომ და ეთერიდან“. იგი განწყობით და გრძნობით კითხულობს. თბილად და აზრიანად თქმულ სიტყვას საოცრად მეტყველ ჟესტს აშველებს. მას კარგად ჰქონდა მიგნებული ხალხური ეპოსის წარმომსახველი ტონი.

მესამე კურსის სტუდენტთაგან კარგი მონაცემები გამოაჩნდათ მხატვრულ კითხვაში დარეჯან გორდელაძეს, თამარ თეთრაძეს, მარიამ თაბორიძეს, ელენე საყვარელიძეს, ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს და გიორგი გეგეჭკორს, ხოლო მეორე კურსიდან —ნათელა ურუშაძეს, ელენე იოსელიანს, ნიკოლოზ თამაზიშვილს, და ვალერიან კვაჭაძეს. დრო გვიჩვენებს, თუ შემდეგში რამდენად აამაღლებენ ესენი თავიანთ მხატვრულ კითხვას და მუყაითი ვარჯიშით რამდენად გაიწაფებიან მეტყველების ტექნიკაში.

მხატვრულ კითხვის ამ მეტად საინტერესო საღამოზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა აკაკი ბელიაშვილის ცოცხლად და სახიერად დაწერილ მოთხრობებს ნ. იასალაშვილისა და ნ. ანდრონიკაშვილის წაკითხვით.

# მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი

19 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში გარდაიცვალა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვალერიან ვლადიმერის-ძე სიდამონ-ერისთავი. განსვენებული მრავალფეროვანი შემოქმედი იყო. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის როგორც შემოქმედს და როგორც პედაგოგს. ფერწერითი მხატვრობის და ქართული სათეატრო ხელოვნების საერთო წარმატება და მრავალი მიღწევა ვ. სიდამონ-ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული.

ვ. სიდამონ-ერისთავი დაიბადა 1889 წელს ყვარელში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ჯერ იონის სახელოსნოში (მოსკოვი), ხოლო შემდეგ ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრობის სასწავლებელში, სადაც მასწავლებლებად იყვნენ ცნობილი ხელოვანნი მალიუტინი, ცვასატკინი, კორინი, ვასნეცოვი. ეს სასწავლებელი ვ. სიდამონ-ერისთავმა დაამთავრა 1915 წელს და მიიღო ჟანრის ფერმწერის სახელწოდება. იმავე წელს მან მოსკოვში გახსნა საკუთარი სტუდია, მაგრამ მალე დაბრუნდა საქართველოში და გააჩაღა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. იმ თავითვე დაიწყო მან თანამშრომლობა ქართულ თეატრებთან: ჯერ კიდევ რევოლუციამდე მას ეკუთვნის ქართულ სცენაზე დადგმული მრავალი პიესის დეკორატიული გაფორმება როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში.

თავისი მოღვაწეობის პირველსავე წლებში ვ. სიდამონ-ერისთავმა ყურადღება მიიქცია როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა ილიუსტრატორმა („ვეფხის ტყაოსნის“ მისი ილიუსტრაცია გამოფენილია აღმოსავლეთის კულტურათა მოსკოვის მუზეუმში). იმავე პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე მისი შესანიშნავი ნახატები: „ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა“, „ქართველი რაზმები საზვერავ გორაკზე“, „ხევსურთა ჰქონდათ ლრეობა“. ქართული ფერწერის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ვ. სიდამონ-ერისთავის ისტორიული ჟანრის ტილოები: „თამარ მეფე“ და „ჭაბუკი შოთა იყალთოს აკადემიაში“.

ვ. სიდამონ-ერისთავის მრავალმხრივ ნიჭს განსაკუთრებით დიდი სამოღვაწეო ასპარეზი გადაეშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ დროიდან იგი ფრიად ნაყოფიერად და ინტენსიურად მუშაობს, როგორც ფერწერის ოსტატი, როგორც დადგმათა გამფორმებელი და როგორც პედაგოგი. იშვიათი წარმატება კ. მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული „ცხვრის წყაროსი“, რითაც იწყება ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია, მიეწერება ვ. სიდამონ-ერისთავის მიერ ამ შესანიშნავი სპექტაკლის ოსტატური გაფორმებასაც.

გრანდიოზულმა სოციალისტურმა მშენებლობამ მისი ფერწერა აღჭურვა მეტის იდეურობით და სოციალური სიმახვილით. ამ ხანებში იგი სწერს ტილოებს „გლეხთა აჯანყება 1905 წელს“, „ყრმა გლეხების ძაღლებზე გადაცვლა მემამულის მიერ“, „წითელი კავალერია“, „მანევრები“. განსაკუთრებით საინტერესოა მთელი სერია მისი ტილოებისა ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობიდან, მათ შორის სურათები: „სტალინი ამხანაგებთან ერთად ბათუმში“, „ბათუმის 1902 წლის დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“, „ბაქოს მუშები ამოძრავდნენ“, „ამხანაგი სტალინი ბაქოს ნავთის საბადოების მუშათა მიტინგზე“ და სხვ. ვ. სიდამონ-ერისთავის კალამს ეკუთვნის „სოციალიზმის ინდუსტრიის“ გამოფენისათვის დაწერილი რამდენიმე სურათი, მათ შორის, „ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები ბაქოში“.

ქართველ მხატვრებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მას, როგორც პორტრეტისტს, მის მიერ შესრულებულ პორტრეტებს შორის გამოირჩევიან ლ. ბერიას, ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ამხანაგ სტალინის დედის ეკატერინეს, სახალხო არტისტების ტასო აბაშიძის და ელ. ჩერქეზიშვილის პორტრეტები. განსვენებული უკანასკნელად მუშაობდა გიორგი სააკაძის პორტრეტზე, რომელსაც იგი სწერდა ჯვარის მონასტრისა და მცხეთის ფონზე.

ვ. სიდამონ-ერისთავი, როგორც თეატრალურ დადგმათა გამფორმებელი იძლევა ძლიერ მასალას მთელი მონოგრაფიის დასაწერად, „ცხვრის წყაროს“ გარდა, ქართულ დრამატულ თეატრებში მას გაფორმებული აქვს სპექტაკლები: „ნაპერწკლიდან“, „სამშობლო“, „სურამის ციხე“ და სხვ. კინოფილმებიდან: „ორი მონადირე“, „პეპო“, „ნამუსი“. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც ვ. სიდამონ-ერისთავი უკანასკნელ წლებში მთავარ მხატვრად და სადადგმო ნაწილის გამგედ მუშაობდა, მას გაფორმებული აქვს „დაისი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტე“, „კაკო ყაჩაღი“. „ღალატი“, „სამშობლო“, „ბოშათა ბარონი“, „თავადი იგორი“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ოპერა „დაისის“ გაფორმება ქალაქ სარატოვის ოპერის სცენაზე.

დიდი მუშაობა გასწია ვ. სიდამონ-ერისთავმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ქართული პავილიონის გასაფორმებლად, პავილიონისათვის მან დახატა სურათი „ამხანაგი სტალინი ესაუბრება გლეხებს 1905 წელს“.

დაუვიწყარი დარჩება ვ. სიდამონ-ერისთავის ღვაწლი, როგორც პედაგოგისა. 192[illegible] წლიდან იგი განუწყვეტლად მუშაობს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში ფერწერის პროფესორად. მან არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზრდა.

ესოდენ მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო განსვენებულის მოღვაწეობა. სამშობლომ საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ეს თვალსაჩინო მხატვარი და დაუცხრომელი მოღვაწე; იგი დაჯილდოვებულ იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. მას მიკუთვნებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.

ვ. სიდამონ-ერისთავის ხსოვნა, როგორც მგზნებარე პატრიოტისა და შესანიშნავი მხატვრისა, დიდხანს დარჩება საქართველოს კულტურის მოღვაწეთა გულში.

მ. გორდელი.

# ლადო ასათიანი

23 ივნისს თბილისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოეტი ლადო ასათიანი. ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წელს ლეჩხუმში, მასწავლებლის ოჯახში. ცაგერის სას.-სამ. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ [illegible]

[illegible]

## ახალი წიგნები

„მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“

[illegible]

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ჭუღუაშვილი.

სახელმწიფო დაზღვევა

[illegible]

საქ. სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ 3 ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 2067